

საქართველოში ეროვნული სივრცითი მონაცემების
ინფრასტრუქტურის განვითარების

სტრატეგიული ამოცანები და 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა



შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს საქართველოში ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარების (NSDI) სტრატეგიულ ამოცანებს და 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში NSDI-ის განვითარების ხელშეწყობას და გეოსივრცითი ელექტრონული მმართველობის სფეროში ევროპულ მიდგომებთან (INSPIRE დირექტივა) შესაბამისობის მიღწევას. ამასთან, ის იძლევა მომავალი მიმართულებებისა და საქმიანობების ნათელ სურათს გეოსივრცითი მონაცემების წარმოებისა და გამოყენების გაუმჯობესების და ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის საფუძვლის შექმნისთვის, სხვადასხვა საქმიანობებს შორის პრიორიტეტების განსაზღვრისა და დაინტერესებული მხარეების სათანადო ჩართულობის უზრუნველსაყოფად.


სამოქმედო გეგმის სტრუქტურა ემყარება NSDI-ის სტრატეგიულ მიზნებს/ამოცანებს და მისი შესაბამისია.

მიმოხილვა

სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა არის პოლიტიკის, ინსტიტუციური ქმედებების, ტექნოლოგიების და მონაცემების ერთობლიობა, რომელიც იძლევა სივრცითი ინფორმაციის ეფექტურად გამოყენებისა და გაზიარების საშუალებას.

მისი მიზანია მაღალი ხარისხის, ჰარმონიზებული სივრცითი მონაცემების ხელმისაწვდომობა ვებ-პორტალის (გეოპორტალის) მეშვეობით სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის, კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და მოქალაქეებისთვის და მონაცემების გაცვლისთვის შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ჩარჩოს უზრუნველყოფა.

სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა ეფუძნება სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ სხვადასხვა თემატიკის გეოსივრცით მონაცემებსა და მეტამონაცემებს (მონაცემები მონაცემების შესახებ), რომლებიც გაერთიანებულია ფენებად მომხმარებლის მიერ სხვადასხვა სახით გამოყენების მიზნით.



ინფრასტრუქტურის მრავალფუნქციური და ყოვლისმომცველი ბუნების გამო, მისი შექმნა მთავრობის ქმედებებთან არის დაკავშირებული, რის გარეშეც შეუძლებელია სწორი, ოპერატიული, სანდო და კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღება, რასაც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს.

სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის ძირითადი კომპონენტებია საკანონმდებლო ბაზა, ინსტიტუციონალური საფუძველი, სტანდარტები, გეომონაცემები, მეტამონაცემები და სერვისები. ეს კომპონენტები საჭიროა როგორც მსოფლიო, ევროპული, ეროვნული, ასევე ადგილობრივი სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურისთვის (SDI).

სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა შეიძლება აღიწეროს შემდეგნაირად:



SDI-ის განვითარება მოითხოვს კომპეტენციას სხვადასხვა სფეროებში, როგორიცაა გეოდეზია, კარტოგრაფია, კადასტრი, ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიები, კანონმდებლობა და ეკონომიკა.

გეომონაცემები და მომსახურებები სტანდარტული სახით უნდა აღიწეროს მეტამონაცემების კატალოგში, რათა პოტენციურ მომხმარებელს ჰქონდეს ზოგადი წარმოდგენა ხელმისაწვდომი მონაცემების, სერვისებისა და მათი გამოყენების პირობების შესახებ.

გეომონაცემები, სერვისები და მეტამონაცემები დღეისათვის შექმნილია საერთაშორისო სტანდარტების (ISO¹ და OGC²-ის) გამოყენებით.

ტექნიკური ინფრასტრუქტურა SDI-ის მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან ის შესაძლებელს ხდის პროცედურებისა და მომხმარებლების ეფექტურ

¹ საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაცია

² Open Geospatial Consortium

ურთიერთქმედებას. გეომონაცემების პორტალი, რომელიც ხელს უწყობს მომხმარებელს მონაცემების მოძიებასა და სერვისების მიღებაში, მიიჩნევა ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან ნაწილად.

კანონმდებლობა, წესები და ინსტრუქციები, რომლებიც ხელს უწყობს გეომონაცემების ეფექტურ გამოყენებას, ასევე ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. ასეთმა კანონმდებლობამ ამავე დროს უნდა დაიცვას არსებითი ინტერესები დაკავშირებული, მაგალითად, ეროვნულ უსაფრთხოებასა და პიროვნულ ინტეგრირებასთან. კანონმდებლობამ ასევე უნდა განმარტოს პასუხისმგებლობები დაინტერესებული სააგენტოებისთვის.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე სივრცითი მონაცემების ეროვნული ინფრასტრუქტურა შეიქმნა 120-ზე მეტ ქვეყანაში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ავსტრალიამ და ევროპის უმეტესმა ქვეყნებმა გაიარეს ყველა ეტაპი სივრცითი მონაცემების ეროვნული ინფრასტრუქტურის კონცეფციის დამუშავებიდან რეალიზაციამდე, განახორციელეს ინფრასტრუქტურის შექმნის ეროვნული პროგრამები. ამ პერიოდის განმავლობაში განისაზღვრა სივრცითი მონაცემების, როგორც ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემის, შექმნის წესები, პროცედურები და მოწყობის მექანიზმები.

პირველად, 1996 წელს მუშაობა დაიწყო ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნის ხელშემწყობმა მაკოორდინებელმა ორგანომ - გლობალური სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის ასოციაციამ (GSDI). მას შემდეგ ფართოვდება საერთაშორისო თანამშრომლობა ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურათა გლობალურ ინფრასტრუქტურებში ინტეგრაციის კუთხით. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ევროპარლამენტის 2007 წლის 14 მარტის №2007/2/EC დირექტივა - INSPIRE, რომლის მიზანია ევროკავშირის გეოსივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც იძლევა გარემოს გეოსივრცითი ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობას სახელმწიფო უწყებებს შორის და ხელს უწყობს ამ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობას ევროპის მასშტაბით.

INSPIREE დირექტივის თანახმად, თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შესახებ ეროვნული კანონი INSPIRE დირექტივის შესაბამისად.

INSPIRE დირექტივა აყენებს მოთხოვნებს სივრცითი მონაცემების გაცვლისა და სერვისების მიწოდების თაობაზე. მონაცემები შექმნილი უნდა იყოს სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც შეიქმნა და დამტკიცებულია ევროპული კომისიის მიერ. იგივე ეხება სერვისებსაც, სადაც დეტალურადაა განსაზღვრული ინტერფეისი ქსელური სერვისებისთვის (მოძიების სერვისები, ნახვის სერვისები, ჩამოტვირთვის სერვისები, ტრანსფორმაციის სერვისები და გაშვების სერვისები). მონაცემებისა და სერვისების ეს სტანდარტები ემყარება საერთაშორისო სტანდარტებსა და საწარმოო სტანდარტებს.

დღეისათვის საქართველოში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, კერძო, არასამთავრობო თუ სამეცნიერო სექტორები უმრავლეს შემთხვევაში ქმნიან და/ან იყენებენ სივრცით მონაცემებს, რომლებიც არ იძლევა მათი ინტეგრაციის, ერთობლივი გამოყენებისა და ქვეყნის ერთიანი გეოინფორმაციული სივრცის ჩამოყალიბების საშუალებას.

საქართველოს ერთიანი ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება, რომელიც იფუნქციონირებს სამთავრობო, დარგობრივ და მუნიციპალურ დონეებზე, უზრუნველყოფს:

- ქვეყანაში რესურსების გამოყენების ოპტიმალურ დაგეგმვას და პროცესების ეფექტურ მართვას;
- ელექტრონული მმართველობის პოლიტიკის და სახელმწიფო ორგანოების განვითარების ხელშეწყობას სივრცითი მონაცემების შექმნისა და მართვის კუთხით;
- სივრცითი მონაცემების შექმნისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯების შემცირებას და მათი ხარისხის ამაღლებას, დუბლირებული სამუშაოს გამორიცხვის და ადგილობრივ, რეგიონალურ და ცენტრალურ დონეზე მონაცემთა მწარმოებლებს შორის ეფექტური თანამშრომლობის მეშვეობით;
- საბაზისო ეროვნული სივრცითი მონაცემების და მეტამონაცემების სისტემატიზაციას, სტანდარტიზაციას და დაახლოებას ევროპულ მოთხოვნებთან.
- ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის ინტეგრაციას რეგიონალურ და ევროპულ ინფრასტრუქტურებში.

პროექტის განხორციელების შედეგად საქართველოში შეიქმნება სამთავრობო გეოინფორმაციული სისტემა - სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ინტიტუტებსა და მუნიციპალიტეტებში სტანდარტიზირებულ და სისტემატიზირებულ, სანდო, უტყუარ და აქტუალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღების ხარისხის ამაღლებას. რესურსების ოპტიმალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული სისტემა ამაღდროულად ხელმისაწვდომი იქნება კერძო და საზოგადოებრივი სექტორისათვის.

სახელმწიფო უწყებები



აკადემიური და
საგანმანათლებლო
სექტორი




კერძო სექტორი
და საზოგადოება



სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის ინსტიტუციონალური და საორგანიზაციო სტრუქტურა

საქართველოში ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების მიზნით, 2013 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის №262 დადგენილებით, შეიქმნა სამთავრობო კომისია, ხოლო კომისიის დებულებით განისაზღვრა მისი მიზანი, სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი.



სამთავრობო კომისია

კომისია შექმნილია საქართველოში ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნის და განვითარების, სივრცითი მონაცემების და მეტამონაცემების, ასევე, მონაცემთა ფორმატის, ციფრული ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, განახლებისა და გაზიარების ეროვნული სტანდარტების ჩამოყალიბების, ქვეყნის ერთიანი გეოინფორმაციული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების, ამოცანების და პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით (დებულება, მუხლი 2).

კომისია უზრუნველყოფს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრასა და მასთან დაკავშირებული პროცესების მართვის გაუმჯობესებას.

კომისიის სამდივნო

კომისიის და თემატური სამუშაო ჯგუფების საქმიანობის კოორდინაციას, ორგანიზაციულ-ტექნიკურ და ინტელექტუალურ-ინფორმაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის სამდივნო (დებულება, მუხლი 7).

კომისიის სამდივნო უზრუნველყოფს:

- კომისიის დავალებათა შესრულების მიზნით, კომისიაში შემავალ საჯარო დაწესებულებების წარმომადგენელთა შორის ინფორმაციის გაცვლისა და ურთიერთობის კოორდინაციას,
- ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნის და განვითარების სფეროში საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მომზადებას;
- კომისიის დახმარებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში;
- სამთავრობო კომისიის მიერ ინიცირებული შეხვედრების, კონფერენციებისა და სემინარების მომზადებას.

კომისიის თემატური სამუშაო ჯგუფი

კომისია ქმნის თემატურ სამუშაო ჯგუფებს შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო უწყებების, ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით (დებულება, მუხლი 6).

თემატური სამუშაო ჯგუფის ფუნქციებია:

- კომისიის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი;

- დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების ანალიზი;
- ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარებასთან დაკავშირებით კომისიის მიერ განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

თემატური სამუშაო ჯგუფი აგრეთვე უფლებამოსილია, კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს მონიტორინგი ეროვნული სივრცითი მონაცემების შექმნასა და განვითარებასთან დაკავშირებით სხვადასხვა სახელმწიფო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გატარებულ ღონისძიებებზე.

კომისიის თემატურ სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს კომისიის მიერ დანიშნული სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი.

კოორდინატორი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ევალება, უზრუნველყოს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნის, ექსპლუატაციისა და განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია (მთავრობის დადგენილება №262, მუხლი 4).

სტრატეგიული ამოცანები და ხედვა

ხედვა: გეოსივრცითი ინფორმაციის მოძიება და გამოყენება მარტივი და ხელმისაწვდომია.

ამ ხედვის მისაღწევად განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული ამოცანები:

ამოცანა 1: სივრცით მონაცემთა ინფრასტრუქტურის (SDI) უპირატესობები კარგად არის ცნობილი

საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის დანერგვის შემთხვევაში, ორგანიზაციულ, საკანონმდებლო და ტექნიკურ დონეებზე ორგანიზაციული საჭიროებებისა და უპირატესობების განსამარტად.

ამოცანა 2: გეოგრაფიული ინფორმაციის მიწოდება რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით

გეოგრაფიული ინფორმაციის წარმოება და გამოყენება უნდა იმართებოდეს შესაბამისი კანონმდებლობით ნათელი და მარტივი საკანონმდებლო წესებით. კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს ელ-მმართველობის განვითარებიდან გამომდინარე მოთხოვნილებებს და დამყარებული უნდა იყოს წონასწორობაზე საზოგადოებაში არსებულ სასიცოცხლო ინტერესების, როგორიცაა ხელშეუხებლობა, საიდუმლოება და უსაფრთხოება, დაცვის საჭიროებასა და მონაცემებზე მომხმარებლების მარტივი წვდომისა და გამოყენების საჭიროებას შორის.

ამოცანა 3: გეოგრაფიული ინფორმაციის გამოყენების პირობები და საფასურები მარტივი და ერთნაირია

გეომონაცემთა გამოყენების პირობებმა და საფასურებმა ხელი უნდა შეუწყოს არსებული მონაცემებისა და სერვისების ფართოდ გამოყენებას. კონკრეტული მიზნებისთვის აღნიშნული ინფორმაციის გამოყენების პირობები და საფასურები მომხმარებლებისთვის ადვილად გასაგები უნდა იყოს.

პირობები და საფასურები უნდა იყოს შესაფერისი, არადისკრიმინაციული და ნათლად აღწერილი. ლიცენზირების წარმართვა უნდა იყოს სწრაფი და მომხმარებელს აძლევდეს ადვილ წვდომას მონაცემებზე.

ამოცანა 4: გეოგრაფიული ინფორმაცია და სერვისები წარმოდგენილია მომხმარებლისთვის მარტივად გასაგები და მოსახერხებელი ფორმით

მეტამონაცემთა კატალოგების სისტემაში გეოგრაფიული მონაცემთა ბაზები და სერვისები აღწერილი უნდა იყოს მარტივი, ერთგვაროვანი და მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ფორმით. მეტამონაცემი აღწერს, მაგალითად, მონაცემთა ბაზებისა და სერვისების შინაარსსა და ხარისხს, ასევე მონაცემებზე წვდომის გზასა და გამოყენების პირობებს. მეტამონაცემები აადვილებს მონაცემებისა და სერვისების მოძიებას.

ამოცანა 5: ძირითადი გეოგრაფიული ინფორმაციის წარმოება მიჩნეულია პრიორიტეტულად და მარტივია სხვადასხვა წყაროებიდან მონაცემების კომბინირება

საჭიროა მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისი თანამედროვე გეოგრაფიულ მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სიტუაციის გაუმჯობესება. ადვილი უნდა იყოს სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების კომბინირება – მონაცემთა ერთობლივად წარმოდგენის, შესწავლისა და ანალიზის მიზნით. უნდა გაგრძელდეს მიმდინარე საქმიანობები, რომლითაც ხდება სხვადასხვა თემატური მონაცემებისთვის მონაცემთა ბაზების ფორმირება INSPIRE სპეციფიკაციებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით.

მნიშვნელოვანია სხვადასხვა თემატური მონაცემებისთვის მონაცემთა ბაზების შექმნა INSPIRE-ის სპეციფიკაციების საფუძველზე.

ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს ამ სამუშაოში უფრო მეტი რესურსის ჩადება, რადგან ინვესტიციები კარგ გეოგრაფიულ მონაცემთა ბაზებში შექმნის მდგრად დანაზოგებს ფართო სპექტრის საქმიანობებისთვის საზოგადოებაში.

ამოცანა 6: სერვისები ადვილად ხელმისაწვდომია და აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს

მონაცემების გაზიარება წარმოადგენს SDI-ის კონცეფციის საკვანძო ელემენტს, სადაც სივრცითი მონაცემები გამოიყენება სხვადასხვა მიზნებისთვის. უახლოეს მომავალში მომხმარებლები და გეოგრაფიული ინფორმაციის მწარმოებლები ურთიერთობისთვის გამოიყენებენ ინტერნეტზე დამყარებულ სერვისებს. შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სერვისების კომბინირება. სერვისები გაადვილებს და უფრო ეფექტურს გახდის მონაცემებზე წვდომას და მოგვცემს მონაცემთა შენახვის დუბლირების თავიდან აცილების შესაძლებლობას.

ამოცანა 7: საქართველოს NSDI-ის საქმიანობები სათანადოდ კოორდინირებულია

საქართველოს SDI-ის საქმიანობები უნდა იყოს სათანადოდ კოორდინირებული და ეფექტურად დაკავშირებული ევროკავშირის SDI მიდგომებთან და INSPIRE

დირექტივის განხორციელებასთან. სათანადო კოორდინაცია მოითხოვს მაკოორდინირებელ ორგანოებთან შესაბამისი ინსტიტუციონალური სტრუქტურის ფორმირებას, როგორც პოლიტიკურ, ისე ტექნიკურ დონეზე.

ამოცანა 8: სათანადო ცოდნა და გამოცდილება NSDI-ის გამოყენების, შექმნისა და ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით

SDI-ის სტრატეგიის წარმატებულობა მეტწილად დამოკიდებულია სათანადოდ მომზადებული და მოტივირებული პერსონალის არსებობაზე. შრომითი რესურსების განვითარებისა და სახელმწიფო ადმინისტრაციის სტრუქტურებში მომუშავე პერსონალის სწავლების საკითხები წარმოადგენს ძირითად წინაპირობას. გარდა ამისა, მომავალი ექსპერტების მოსამზადებლად, მნიშვნელოვანია, გეოინფორმატიკის სფეროსთვის საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამების შექმნა.



საქართველოს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა

ამოცანა 1: ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) უპირატესობები კარგად არის ცნობილი

საქმიანობა 1.1: ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება.

პასუხისმგებლობა: საზოგადოებასთან ურთიერთობის თემატური სამუშაო ჯგუფი.

ვადები: 2014 წლის ნოემბერი - 2015 წლის საკომუნიკაციო სტრატეგია.
2015 წლის ნოემბერი - გრძელვადიანი საკომუნიკაციო სტრატეგია.

საქმიანობა 1.2: სამინისტროების/სააგენტოების მიერ მიზნობრივი ჯგუფების იდენტიფიცირება შემდგომი საქმიანობების დაგეგმვის მიზნით.

პასუხისმგებლობა: საზოგადოებასთან ურთიერთობის თემატური სამუშაო ჯგუფის კოორდინაციით სამინისტროების შესაბამისი სამსახურები.

ვადები: 2014 წლის სექტემბერი

საქმიანობა 1.3: დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების გამართვა NSDI-თან დაკავშირებით მიმდინარე საქმიანობებისა და სამომავლო გეგმების გაცნობის მიზნით.

პასუხისმგებლობა: სამთავრობო კომისიის სამდივნო, საზოგადოებასთან ურთიერთობის თემატური სამუშაო ჯგუფი.

ვადები: 2014 წლის ივლისი, 2014 წლის ნოემბერი

საქმიანობა 1.4: NSDI-ის ერთიანი, ზოგადი, საინფორმაციო შინაარსის ბროშურის მომზადება.

პასუხისმგებლობა: საზოგადოებასთან ურთიერთობის თემატური სამუშაო ჯგუფი.

ვადები: 2014 წლის ნოემბერი

საქმიანობა 1.5: NSDI-ის საინფორმაციო ვებ-გვერდის პირველი საცდელი ვერსიის მომზადება.

პასუხისმგებლობა: საზოგადოებასთან ურთიერთობის, GIS (გეოინფორმაციული სისტემების) და IT (ინფორმაციული ტექნოლოგიების) თემატური სამუშაო ჯგუფები.

ვადები: 2014 წლის ნოემბერი

ამოცანა 2: გეოგრაფიული ინფორმაციის მიწოდება რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით

საქმიანობა 2.1: NSDI-თან დაკავშირებული არსებული საკანონმდებლო აქტების აღრიცხვა-ანალიზი.

პასუხისმგებლობა: საკანონმდებლო თემატური სამუშაო ჯგუფის კოორდინაციით სამინისტროების შესაბამისი სამსახურები.

ვადები: 2015 წლის თებერვალი

საქმიანობა 2.2: საქართველოს NSDI-ის შესახებ კანონპროექტის პირველი ვერსიის მომზადება

პასუხისმგებლობა: საკანონმდებლო თემატური სამუშაო ჯგუფი.

ვადები: 2015 წლის სექტემბერი

საქმიანობა 2.3: მეტამონაცემების წარმოების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტის მომზადება³.

პასუხისმგებლობა: მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კოორდინაციით საკანონმდებლო თემატური სამუშაო ჯგუფი.

ვადები: 2015 წლის ივნისი

ამოცანა 3: გეოგრაფიული ინფორმაციის გამოყენების პირობები და საფასურები მარტივი და ერთნაირია

საქმიანობა 3.1: საქართველოში ფინანსირებისა და ლიცენზირების მოქმედი მოდელების აღრიცხვა-ანალიზი.

პასუხისმგებლობა: ბიზნეს მოდელის თემატური სამუშაო ჯგუფი.

ვადები: 2015 წლის იანვარი

საქმიანობა 3.2: საქართველოში სივრცით მონაცემებსა და სერვისებზე წვდომისა და გამოყენების რეგულირებასთან დაკავშირებით ფინანსირებისა და ლიცენზირების პროექტის შემუშავება⁴.

³რეგულაციამ სავალდებულო უნდა გახადოს მეტამონაცემების შექმნა და სტანდარტების გამოყენება. რეგულაცია უნდა დამტკიცდეს NSDI-ის შესახებ ახალი კანონის მიღებამდე. შესაძლო საკანონმდებლო საფუძველი: საქართველოს კანონი ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ.

⁴ INSPIRE-ის სახელმძღვანელოს „წევრ-ქვეყნებში სივრცულ მონაცემთა ნაკრებებსა და სერვისებზე

პასუხისმგებლობა: ბიზნეს მოდელის თემატური სამუშაო ჯგუფი.

ვადები: 2015 წლის ივნისი

ამოცანა 4: გეოგრაფიული ინფორმაცია და სერვისები წარმოდგენილია მომხმარებლისთვის მარტივად გასაგები და მოსახერხებელი ფორმით

საქმიანობა 4.1: საქართველოსთვის მეტამონაცემების სტანდარტის პროექტის შექმნა.

პასუხისმგებლობა: GIS თემატური სამუშაო ჯგუფი.

ვადები: 2014 წლის დეკემბერი

საქმიანობა 4.2: მეტამონაცემების კატალოგის⁵ შექმნა და მისი გეოპორტალზე განთავსება

პასუხისმგებლობა: GIS და IT თემატური სამუშაო ჯგუფები.

ვადები: 2015 წლის ნოემბერი

საქმიანობა 4.3: სამოქმედო გეგმის 5.1 პუნქტით განსაზღვრული მონაცემთა ნაკრებების დოკუმენტირება - მეტამონაცემების მომზადება გეოპორტალისთვის.

პასუხისმგებლობა: GIS და IT თემატური სამუშაო ჯგუფების კოორდინაციით სამინისტროების შესაბამისი სამსახურები.

ვადები: 2015 წლის ნოემბერი

ამოცანა 5: საბაზისო გეოგრაფიული ინფორმაციის წარმოება მიჩნეულია პრიორიტეტულად და მარტივია სხვადასხვა წყაროების მონაცემების კომბინირება

საქმიანობა 5.1: პირველი რიგის საბაზისო სივრცითი მონაცემების თემატური პრიორიტეტების განსაზღვრა და იმ სახელმწიფო ორგანოების იდენტიფიცირება, რომელთა საქმიანობასაც განეკუთვნება ეს მონაცემები.

პასუხისმგებლობა: GIS თემატური სამუშაო ჯგუფი.

ვადები: 2014 წლის ნოემბერი

პარმონიზაციის პრობლემაში" გათვალისწინებით (http://inspire.ec.europa.eu/documents/Data_and_Service_Sharing/INSPIRE_DSS_Guidance%20document_final.pdf)

⁵მეტამონაცემთა კატალოგების სისტემაში გეოგრაფიული მონაცემთა ბაზები და სერვისები აღწერილი უნდა იყოს მარტივი, ერთგვაროვანი და მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ფორმით. მეტამონაცემი აღწერს, მაგალითად, მონაცემთა ბაზებისა და სერვისების შინაარსსა და ხარისხს, ასევე მონაცემებზე წვდომის გზასა და გამოყენების პირობებს. მეტამონაცემები აადვილებს მონაცემებისა და სერვისების მოძიებას.

საქმიანობა 5.2: საბაზისო სივრცითი მონაცემების წარმოებისთვის აუცილებელი საყრდენი მათემატიკური, გეოდეზიური და კარტოგრაფიული მასალების (საქართველოს მთლიანი ტერიტორიის ციფრული გეოდეზიურ-კარტოგრაფიული საფუძველი, ორთოფოტო და სატელიტური სურათები, სიმაღლური ციფრული მოდელი და სხვ.) იდენტიფიცირება.

პასუხისმგებლობა: GIS თემატური სამუშაო ჯგუფი.

ვადები: 2014 წლის ნოემბერი

საქმიანობა 5.3: 5.1 პუნქტით განსაზღვრული მონაცემების შეგროვების ან/და წარმოებისთვის აუცილებელი სტანდარტებისა და სპეციფიკაციების შემუშავება სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების კომბინირებისა და ჰარმონიზაციის მიზნით.

პასუხისმგებლობა: GIS თემატური სამუშაო ჯგუფი.

ვადები: 2015 წლის ნოემბერი

ამოცანა 6: სერვისები ადვილად ხელმისაწვდომია და აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს

საქმიანობა: 6.1: საქმიანობა 5.1-ით განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოების GIS და IT ინფრასტრუქტურის კვლევა-ანალიზი

პასუხისმგებლობა: IT თემატური სამუშაო ჯგუფი.

ვადები: 2014 წლის ოქტომბერი

საქმიანობა: 6.2: მონაცემთა გაზიარების პლატფორმის იდენტიფიცირება და გეოპორტალის პირველი საცდელი ვერსიის მომზადება

პასუხისმგებლობა: IT თემატური სამუშაო ჯგუფი.

ვადები: 2015 წლის ნოემბერი

საქმიანობა 6.3: მონაცემთა გაზიარების გრძელვადიანი კონცეფციის შემუშავება

პასუხისმგებლობა: IT თემატური სამუშაო ჯგუფი.

ვადები: 2015 წლის ნოემბერი

ამოცანა 7: საქართველოს NSDI-ის საქმიანობები სათანადოდ კოორდინირებულია

საქმიანობა 7.1: NSDI-ის სამთავრობო კომისიის დამფუძნებელი შეხვედრის გამართვა

პასუხისმგებლობა: NSDI-ის სამთავრობო კომისია.

ვადები: 2014 წლის ივლისი

საქმიანობა 7.2: NSDI-ის სამთავრობო კომისიის სამდივნოს და თემატური სამუშაო ჯგუფ(ებ)ის ფორმირება.

პასუხისმგებლობა: NSDI-ის სამთავრობო კომისია.

ვადები: 2014 წლის ივლისი

საქმიანობა 7.3: სახელმწიფო ორგანოებში (სამთავრობო, დარგობრივი და მუნიციპალური დონე) ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების პროცესში მონაწილე ტექნიკური ჯგუფების ჩამოყალიბება/განვითარება.

პასუხისმგებლობა: სამთავრობო კომისიის კოორდინაციით სამინისტროების შესაბამისი სამსახურები.

ვადები: 2015 წლის იანვარი

საქმიანობა 7.4: ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება.

პასუხისმგებლობა: თემატური სამუშაო ჯგუფ(ებ)ი.

ვადები: 2015 წლის იანვარი

ამოცანა 8: სათანადო ცოდნა და გამოცდილება NSDI-ის გამოყენების, შექმნისა და ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით

საქმიანობა 8.1: GIS სწავლების არსებული კურსების ანალიზი და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება საქართველოს უნივერსიტეტებში გეოინფორმატიკის სფეროში სასწავლო პროგრამების გასაუმჯობესებლად.

პასუხისმგებლობა: საგანმანათლებლო საკითხებზე მომუშავე თემატური სამუშაო ჯგუფი.

ვადა: 2014 წლის ნოემბერი
2015 წლის ნოემბერი

საქმიანობა 8.2: 7.3 პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური ჯგუფებისთვის დამატებითი ტრენინგების საჭიროებების განსაზღვრა.

პასუხისმგებლობა: საგანმანათლებლო საკითხებზე მომუშავე თემატური სამუშაო ჯგუფი.

ვადა:

2014 წლის ოქტომბერი

საქმიანობა 8.3: 7.3 პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური ჯგუფებისთვის უწყვეტი სწავლების პროცესის კონცეფციის შემუშავება და მოკლევადიანი ტრენინგების ორგანიზება.

პასუხისმგებლობა: საგანმანათლებლო საკითხებზე მომუშავე თემატური სამუშაო ჯგუფი.

ვადა:

2015 წლის იანვარი

გამოყენებული ტერმინები და აკრონიმები:

- **სივრცითი მონაცემი** - ციფრული მონაცემები **სივრცით ობიექტზე** კონკრეტული ადგილის ან გეოგრაფიულ სივრცეზე პირდაპირი ან არაპირდაპირი მითითებით.
- **საბაზისო სივრცითი მონაცემი** - ციფრული მონაცემები ყველაზე აქტუალურ და ხშირად გამოყენებად სივრცით ობიექტებზე, რომლებიც ხასიათდებიან ადგილმდებარეობითი მდგრადობით სივრცესა და დროში და წარმოადგენენ ძირითად ორიენტირს სხვა სივრცითი ობიექტებისათვის.
- **მეტამონაცემი** - (*"მონაცემები მონაცემების შესახებ"* - ISO 19115) მონაცემები, რომელიც საშუალებას იძლევა აღვწეროთ სივრცითი ობიექტების, სივრცითი მონაცემების და მათი სერვისების შინაარსი, მოცულობა, სივრცეში მდგომარეობა, ხარისხი მათი გამოყენების პირობები და სხვა მახასიათებლები.
- **სივრცითი მონაცემების წყარო** - ელექტრონულ ფორმატში შენახული ინფორმაციის წყარო, რომლის შეფასება მოძიება შესაძლებელია ელექტრონული ქსელის ან მონაცემთა დამუშავების სხვა ელექტრონული ტექნოლოგიის საშუალებით.
- **სივრცითი მონაცემების ელექტრონული სერვისი** - მანიპულაციების ან/და ოპერაციების ერთობლიობა (განთავსების, ნახვის, ჩამოტვირთვის, გარდაქმნის, გამოძახების და ა.შ.), რომელიც ხორციელდება სივრცით მონაცემებზე ან მეტა მონაცემებზე ელექტრონული ქსელების და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.
- **გეოპორტალი** - ინტერნეტ გვერდი ან მისი ექვივალენტი, რომელიც იძლევა NSDI მონაცემების განთავსების, ნახვის, ჩამოტვირთვის, გარდაქმნის, გამოძახების და ა.შ. სერვისებზე წვდომის საშუალებას.

საქმიანობების ჩამონათვალი, რომელთა განხილვა, დაზუსტება და შეთანხმება მოხდა 2014 წლის 8-9 მაისს, ევროკავშირთან დაძმობილების პროექტის „ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშეწყობა“ პროექტის ფარგლებში ჩატარებულ სემინარზე, ყველა სამინისტროს შესაბამის წარმომადგენლებთან ერთად.

გეგმა მომზადდა ევროკავშირთან დაძმობილების პროექტის „ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშეწყობა“ პროექტის ფარგლებში, რომელიც ემყარება საქართველოში არსებული სიტუაციის შეფასებას, განხორციელებულს ექსპერტებთან ინტერვიუებისა და საქართველოში არსებული გეოსივრცითი ინფორმაციის შესახებ კვლევის მეშვეობით. სამოქმედო გეგმის სტრუქტურა ემყარება NSDI-ის სტრატეგიას, რომელიც შემოთავაზებული იყო Sida-ს „NAPR-ის ორგანიზაციული განვითარება და გაუმჯობესებული მომსახურება“ პროექტის ფარგლებში Lantmäteriet-ის ექსპერტების მიერ (GEL1 F-10), და მისი სტრუქტურის შესაბამისია.

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

